ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 7

ქალაქი ქუთაისი 30 ოქტომბერი 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრით ჩატარებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ლაშა გვენეტაძის კანდიდატურის შეყვანის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1–ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის მე–6 პუნქტის, 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე–3 მუხლის მე–3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე–18 მუხლის მე-2, მე-3 პუნქტების, 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 98-ე მუხლის 8–10 პუნქტებისა და მე-100 მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. ჩატარდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნები ფარული კენჭისყრით.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრის ბიულეტენებში შეყვანილ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ლაშა გვენეტაძის კანდიდატურა.

მუხლი 3. ფარული კენჭისყრა გაიმართოს ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირის №3–ში არსებული შენობის მე-2 სართულზე არსებულ სხდომათა დარბაზში.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო • ადგილობრივი

საქართველო ქ. ქუთაისის
საკრებულო
გას. №---7----
„3“ ---11------2025 წ.